პროლეტარიელებო, ყველა ძეებისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 დეკემბერი, 1943 წ. № 265 (6890). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ბაგრამიანს

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა სწრაფი შეტევა, დღეს, 24 დეკემბერს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური — გოროდოკი — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ვიტებსკის მიმართულებით.

გოროდოკის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბალიცკის, გენერალ-ლეიტენანტ მალიმონის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ხლებნიკოვის და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის არტილერისტებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ სოლდატოვის გვარდიის მე-5 წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ კორჩუგანოვსკის აღმოსავლეთ-ციმბირის გვარდიის 26-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ვოროზბიოვის გვარდიის 83-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ მაქსიმოვის გვარდიის მე-11 წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ბურლიბას გვარდიის მე-10 სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ სმირნოვის 545-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოლკოვნიკ ტორბოვის 523-ე საკორპუსო საარტილერიო პოლკმა, არტილერიის გენერალ-მაიორ აპრელკინის გვარდიის მე-2 ნაღმმტყორცნელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ნელეპას მე-17 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, პოლკოვნიკ შტულბერგის 488-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ კურბატოვის 259-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ და მაიორ ეგბრაშოვის გვარდიის მე-6 საინჟინრო ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გოროდოკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „გოროდოკის“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

გოროდოკის გვარდიის მე-5 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია,
გოროდოკის აღმოსავლეთ-ციმბირის გვარდიის 26-ე მსროლელი დივიზია,
გოროდოკის გვარდიის 83-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია,
გოროდოკის გვარდიის მე-11 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია,
გოროდოკის გვარდიის მე-10 სატანკო ბრიგადა,
გოროდოკის 545-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
გოროდოკის 523-ე საკორპუსო საარტილერიო პოლკი,
გოროდოკის გვარდიის მე-2 ნაღმმტყორცნელი დივიზია,
გოროდოკის მე-17 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,
გოროდოკის 488-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
გოროდოკის 259-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
გოროდოკის გვარდიის მე-6 საინჟინრო ბატალიონი.

დღეს, 24 დეკემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდათხუთი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გოროდოკი გაათავისუფლეს.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გოროდოკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 24 დეკემბერი.

ბრძანებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირში მუქი 1-ლი ცალკეული სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენოსანი ჩეხოსლოვაკთა ბრიგადის ოფიცერთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით

1. პოდპორუჩიკ იოსებ იოსების-ძე ბურშიკს
2. პორუჩიკ ანტონ ანტონის-ძე ხოხორს
3. პოდპორუჩიკ რიპარდ იაროსლავის-ძე ტეხარუკს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 21 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის გენერლებისათვის, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობისათვის

მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ შენარჩუნებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით გენერლებს, ოფიცერთა, სერჟანტთა და წითელი არმიის რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 62 გენერალს, ოფიცერს, სერჟანტსა და რიგითს მებრძოლს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის

მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 109 ოფიცერს და სერჟანტს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის არტილერიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობისათვის

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მდინარე დნეპრის გადალახვისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 24 დეკემბრის ბრძანებულებით წითელი არმიის არტილერიის ოფიცერების, სერჟანტებისა და რიგითი მებრძოლების ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 110 ოფიცერს, სერჟანტსა და რიგითს მებრძოლს. (საკდესი).

ქლობინის სამხრეთ-დასავლეთით

ბელორუსიის ფრონტი, 24 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). რამდენიმე დღის წინათ ქალაქ ქლობინის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებულმა გერმანელთა ნაწილებმა გააფთრებულმა გერმანელთა ნაწილებმა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. აქ მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებს. ამ მოწინააღმდეგის გერმანელთა მხრივ ბრძოლებში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ქვეითი და სამი სატანკო დივიზია.

გერმანელებმა შეაკავეს ძლავრი სატანკო ჯგუფები, გამოიყვანეს არტილერიის დიდი დამბჯი, გამოიყენეს იერიშები ერთდროულად ორ ორი მიმართულებით — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ჩვენი ნაწილები მტრის იერიშებს შეხვდნენ საარტილერიო ბატარიების ინტენსიურად ცეცხლით და ბრძოლის ბოლოსკენ საათებში ძმიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

დღის 7 საათზე განთიადისწინა ნისლში ლეიტენანტ ჩერნიაკის საბრძოლო დაცვამ დაიჭირა გერმანელთა ტანკები, რომლებიც მოჰქროდნენ და არ ისროდნენ, როგორც სჩანს უნდოდათ უეცრად დაერტყათ.

თოვლით დაფარულ მინდორზე სიწყნარეა, სჩანს, მტრის ტანკისტები ჯერ კიდევ დარწმუნებული არიან, რომ მათი დარტყმა მოულოდნელი იქნება. მაგრამ მათკენ უკვე მიშვერილია ქვემეხთა ტუჩი და ჯავშანმტვრეველი ლულა ქვემეხთა ტუჩი და ჯავშანმტვრეველი ლულა. და როცა ტანკებამდე 300 მეტრიღა რჩება, ლეიტენანტ ჩერნიაკის კომანდის მიხედვით საბრძოლო დაცვა იწყებს სროლას. პირველივე რამდენიმე გასროლით ცეცხლი უჩნდება ერთ ტანკს, სხვები მაშინვე ირღვევენ მწყობრს და აქეთ-იქით მიბოხავენ.

პირველს მოჰყვა იმდენადვე უშედეგო მეორე და მესამე იერიში.

ბრძოლები ქლობინის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდება. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა სწრაფი შეტევა, 24 დეკემბერს იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ГОРОДОК, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები МИЧЕВИЧИ, ВИЗАЛИНО, ГЕРАСИМОВКА, ВУБНИ, СТРАНДАКИ, МАЛЕО ХАУМ, СИРОВИНА, ВОЛКОВО, СИМАНИХА.

24 დეკემბრის განმავლობაში ულობინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

23 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 69 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 13 თვითმფრინავი.

* * *

ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე ნეველის სამხრეთით და, განავითარეს რა სწრაფი შეტევა, მიადგნენ გერმანელთა თავდაცვის ხაზს ქალაქ და რკინიგზის დიდ სადგურ გოროდოკის მისადგომებზე. ეს ზღუდე გადიოდა კოშას ტბაზე, მდინარეებზე გოროდოკასა და ალმინკაზე და წარმოადგენდა ყველე ტიპის სიმაგრეთა ხშირ ქსელს. გერმანელებს აგებული ჰქონდათ სრული პროფილის მთლიანი სანგრები, მრავალი მოედანი ცეცხლითი საშუალებებისათვის, ძელმიწური საცეცხლე წერტილები და ბლინდაჟები, რომლებსაც იფარავდა მავთულღობურები და ნაღმიანი ველები. გოროდოკში და მის მისადგომებზე მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა 40-ზე მეტ საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარიას, მათ შორის ექვსლულიან ნაღმსატყორცნთა რამდენიმე ბატარეას. ჩვენმა ქვეითებმა და არტილერისტებმა ღამის წყვდიადის საფარქვეშ გადალახეს კოშის ტბა და მდინარე გოროდოკა. უეცარი დარტყმებით საბჭოთა მებრძოლებმა გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან მთელი რიგი ხელსაყრელი პოზიციები გოროდოკის ჩრდილო-დასავლეთით და იქ გამაგრდნენ. ამავე დროს ჩვენი ნაწილები გადავიდნენ მდინარე პალმინკაზე და იერიშით მიიტანეს მტერზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. გერმანელებმა სცადეს მოეგერიებინათ ეს საფლანგო დარტყმები და შეასუსტეს ყურადღება გოროდოკის ჩრდილოეთით მდებარე უბნისადმი, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს ჩვენმა ჯარებმა. საბჭოთა მებრძოლები სწრაფი ნახტომით შეიჭრნენ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ტანკისტები — რკინიგზის სადგურზე. ავიწროებდნენ რა გერმანელებს ყოველი მხრიდან, დღეს ჩვენმა ჯარებმა იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ვიტებსკის მიმართულებით ქალაქი და რკინიგზის სადგური გოროდოკი. რკინიგზის სადგურზე და ქალაქის ქუჩებში დათვლილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 2.500-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ დიდი დაკვლა, რომელშიც არის 15 ტანკი, 38 ქვემეხი, მათ შორის ხუთი თვითმავალი ქვემეხი, 100 ავტომანქანა, ბევრი საომარი მასალა და სხვა სამხედრო ქონება.

განაგრძობდნენ რა შეტევას, ჩვენმა ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

* * *

ულობინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დიდი ძალების იერიშების წარმატებით მოგერიებას ერთ უბანზე გერმანელებმა, ბრძოლაში გამოყვანეს სამი პოლკი ქვეითი ჯარი, 80 ტანკი და 10 ჯავშნიანი მანქანა. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს მტრის ათი იერიში, რომლებიც ზედიზედ მოჰყვებოდა ერთიმეორეს, და გამანადგურებელი ზარალი მიაყენეს მტრის რიგებს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 1.200 გვამი. დამწვარი და დაზიანებული გერმანელთა 33-ზე მეტი ტანკი და 4 ჯავშნიანი მანქანა. სხვა უბანზე 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა უკუაქციეს კონტრიერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგე და ამასთან მოსპეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. ჩვენი პოზიციების წინ დარჩა მოწინააღმდეგის 5 დამწვარი ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ჟიტომირის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად განდევნა გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. საბჭოთა პატრიოტებმა გაელიტეს ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდეს დაჯილა. პარტიზანთა ჯგუფმა ამ დღეებში გზატკეცილიც უბანი დანაღმა. ნაღმებზე აფეთქდა ხუთი ავტომანქანა გერმანელ ჯარისკაცებიანად.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 51-ე ბომბდამშენი ესკადრის მე-2 ჯგუფის მე-5 რაზმის ბომბდამშენ „იუნკერს — 88“-ის მეთაურმა ფელდფებელმა ჰუგო ბარტელმა განაცხადა: „ჩვენი ესკადრა ოთხი ჯგუფისაგან შედგება. ყოველ ჯგუფში სამ-სამი რაზმია. აღმოსავლეთის ფრონტზე ესკადრას უაღრესად მძიმე ზარალი მოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ბევრჯერ მივიღეთ შეკვეთა, რაზმებში მხოლოდ 2-3 თვითმფრინავია თითოეულში, ნაცვლად 9-სა. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა საფრენოსნო კადრების ნაკლებობა. ავიაციის ნაკლებობა აიძულებს გერმანელთა სარდლობას განუწყვეტლივ გადაიყვან-გადმოიყვანოს მფრინავები ფრონტის ერთი უბნიდან მეორეზე. ასე, მაგალითად, მეორე ჯგუფს ბაზა ჰქონდა კროოგოგრადში. უეცრად ჩვენ გაფაციცებული სიჩქარით გაგვაგზავნეს სამხრეთისაკენ, ხოლო დეკემბრის დამდეგს სოფელ კალინოვკის აეროდრომზე გადავიყვანეს. ამ დღეებში ჩემი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა, და მე ტყვედ ჩავუვარდი რუსებს“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა წაბეთ დახოცეს და დახვრიტეს პოლესიეს ოლქის ხოინიკის რაიონის რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. მარტო დაბა ჩიონიკში ჰიტლერელებმა დახვრიტეს 500-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, უმთავრესად ბოხუცები, ქალები და ბავშვები. გერმანელები განსაკუთრებით ნადირობდნენ ბელორუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებზე. ფაშისტი ჯალათების ხელით დაიღუპა მრავალი მასწავლებელი, კულტურის მუშაკი და საბჭოთა მოსამსახურე. გერმანელებმა მხეცურად მოჰკლეს მასწავლებელი ლუბა ფოროკოვსკაია, მარიამ ჩეკანი და ნალიაგოვიჩი, ინჟინერი კრავჩენკო, მხატვარი ტაშკევიჩი, მოსამსახურეები სოკოლოვა, სოკოვიჩი, კულაკოვსკაია, პოდკოპაევი და სხვები. გერმანელებმა ველურად და არადამიანურად აწამეს მრავალი სრულიად უდანაშაულო ჩეხოვრები.

მიმართვა
ქალაქ მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა აქტივისა სსრ კავშირის ადგილობრივი მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი

— ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მაღალმა შეფასებამ, რაც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ისტორიულ მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე, — სწერენ მიმართვის ავტორები,—ჩვენი სამშობლოს მშრომელები აღაფრთოვანა ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობისათვის, რათა ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცეთ კიდევ უფრო მეტი პროდუქცია.

წითელმა არმიამ მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით სამამულო ომის მსვლელობაში გმირული ბრძოლებით მიაღწია გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. ახლოვდება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ჟამი, მაგრამ გამარჯვების საბოლოოდ მოპოვებისათვის საჭიროა მთელი საბჭოთა ხალხის ძალთა ახალი დაძაბვა და თავდადებული მუშაობა.

საბჭოთა კავშირის აღგილობრივი მრეწველობის მუშაკებს ყველა შესაძლებლობა აქვთ განუწყვეტლივ გაადიდონ წარმოება შეიარაღებისა, სამომარი მასალისა და საჭურვლისა წითელი არმიისათვის და ფართო მოხმარების საქონლისა ზურგის მშრომელებისათვის.

ქალაქ მოსკოვის ადგილობრივმა მრეწველობამ ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, 1943 წლის გეგმა შესრულებულია ვადამდე—30 ნოემბერს—ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებზე 15 დღით ადრე. 1943 წლის 11 თვის განმავლობაში გამოშვებულია საერთო პროდუქცია 44,8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1942 წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო ფართო მოხმარების საქონლის წარმოება თითქმის ერთიორად გადიდდა.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ჩვენი ამოცანაა უზრუნველყოთ ყველა საწარმოო რეზერვების, ყოველი საწარმოს რეზერვების მობილიზაცია პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივი გადიდებისათვის. მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის მუშაებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებს აქტივის კრება კისრულობს შემდეგს სოციალისტურ ვალდებულებებს:

1. შესრულოს 1943 წლის გეგმა ადგილობრივი მრეწველობის ყველა ტრესტმა წლის ბოლომდე. დაწესებული გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის 90 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

2. უზრუნველჰყოს 1944 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება წითელი არმიისათვის საომარი მასალის, შეიარაღების, საჭურვლის წარმოების დარგში და მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების დარგში დაწესებული ნომენკლატურით.

3. გადაჭრით გაუმჯობესოს ფრონტისათვის გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი და მოსახლეობისათვის გამოსაშვებ ფართო მოხმარების ნაკეთობათა — განსაკუთრებით ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ტყავისა და ლითონის ნაკეთობათა—ხარისხი.

4. ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ოდენობა 1944 წლის I კვარტალში 1943 წლის IV კვარტალთან შედარებით გაადიდოს 6 პროცენტით ან 16 მილიონი მანეთით, მათს რიცხვში 10 მილიონი მანეთით წითელი არმიის XXVI წლისთავისათვის.

5. უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიისა და წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვით გეგმა შრომის ნაყოფიერების დარგში 1944 წლის I კვარტალში შეასრულოს 5 პროცენტის გადამეტებით.

6. მიაღწიოს 1944 წლის I კვარტალის გეგმის გადამეტებით შესრულებას არსებული მუშახელით შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, უფრო სრულყოფილი წარმოების დაყენებისა და წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვით. უზრუნველჰყოს სტანდარტული ყოლების, ინდივიდუალური და საბრიგადო სწავლების დამკვიდრებით ადგილობრივ მრეწველობაში ჩამბარები ყველა მუშის სულ მცირე 10 პროცენტის კვალიფიკაციის ამაღლება.

7. 1944 წლის I კვარტალში 1943 წლის IV კვარტალთან შედარებით გაადიდოს მუშაობის მოცულობა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, მოსახლეობის საოჯახო საჭიროების საგნების დარგში 10 პროცენტით.

8. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების მიზნით ყოველნაირად გაფართოოს საკუთარი ნედლეულის წარმოება, რისთვისაც 1944 წლის 1 კვარტალში 1943 წლის IV კვარტალთან შედარებით გაადიდოს წარმოება ნართისა 15 პროცენტით, ტყავეულობისა—10 პროცენტით, ქსოვილებისა—12 პროცენტით და ბამბისა—10 პროცენტით. 1944 წლის I კვარტალში დაამთავროს ტყავეულობის საწარმოთა მოწყობა და ზელოწადში გამოუშვას 30 მილიონი დეციმეტრი ზედაპირის ტყავის საქონელი და 200 ტონა საძირის ტყავის საქონელი.

9. ვადამდე შეასრულოს 1944 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამარაგო ნაწილების დამზადების დარგში მთელი დაწესებული ნომენკლატურით.

10. ქალაქ მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის დამხმარე მეურნეობათა მომსახურებისათვის არაუგვიანეს 1944 წლის 1 თებერვლისა მოაწყოს ავტომანქანებისა და ტრაქტორების სარემონტო ქარხანა. საგაზაფხულო თესვის დასაწყისისათვის უზრუნველჰყოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზები და დამხმარე მეურნეობანი გაიწევი ძალით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, თესლეულითა და სასუქით.

11. ადგილობრივი მრეწველობის იმ საწარმოთა აღდგენაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, რომლებიც დანგრეულია გერმანელ დამპყრობთაგან, იკისროს შეფობა როსტოვის ოლქის ადგილობრივ მრეწველობაზე. დახმარება აღმოუჩინოს მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, მასალებით და გაგზავნოს სპეციალისტები საწარმოთა აღდგენის საქმეში დახმარების გასაწევად.

— მოგმართავთ მოწოდებით, — ამთავრებენ თავიანთ წერილს მოსკოველები,—კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1944 წლის I კვარტალის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წითელი არმიისა და ზურგისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივ გადიდებისათვის, მშრომელთა საუკეთესო ყოფაცხოვრებითი მომსახურებისათვის.

დავეხმაროთ მალე აღადგინონ აღგილობრივი მრეწველობის საწარმონი გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ ოლქებსა და რაიონებში. გავგზავნოთ ამ რაიონებში მეტი მოწყობილობა, ინსტრუმენტი და მასალა, მივგზავნოთ სპეციალისტები სხვადასხვა საწარმოთა და წარმოებათა მოსაწყობად. მეტი ინიციატივა გამოვიჩინოთ საკუთარი ნედლეული ბაზის შექმნაში და ადგილობრივი ნედლეულის რეზერვების გამოყენებაში, სრულფასოვანი ნედლეულის ყოველგვარ შემცვლელთა გამოყენებაში და სამრეწველო ნარჩენების გამოყენებაში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად.

1944 წლის ზღურბლზე
„პრავდის“ მოწინავე — 24 დეკემბერი

პოლიტიკური და საწარმოო აქტივობას ახალი ზრდით უპასუხებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იმ მაღალ შეფასებას, რაც ამხანაგმა სტალინმა მისცა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას ზურგში, რომელიც „წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად“.

ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ სთქვა, რომ ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ახლა საბოლოო დასასრულს უახლოვდება, რომ გამარჯვება ახლა ახლოსაა, „მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.

საბჭოთა ზურგის მუშაკებს სურთ საქმით უპასუხონ საყვარელი ბელადისა და მეთაურთმთავრის — დიდი სტალინის მოწოდებას და მათ ზეგეგმითი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. ტანკმშენებლები, საჭურვლის დამამზადებლები, თვითმფრინავთმშენებლები, მეტალურგები, სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა დარგის მუშაკები აცხადებდნენ თავიანთი განზრახვის შესახებ მისცენ ფრონტს დამატებითი საჭურველი, საომარი მასალა, სამხედრო ტექნიკა და სხვ.

საბჭოთა ადამიანები მიეჩვევნენ თავიანთ დაპირებათა შესრულებას. აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც „პრავდის“ ფურცლებზე ზედიზედ ქვეყნდება ცნობები ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის, მრეწველობის ცალკეული დარგების მიერ თავიანთი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. წლიური საწარმოო გეგმების ვადამდე დამთავრების შესახებ.

მოწინავეთა შორის ჩვენ ვხედავთ იმ საარტილერიო ქარხნის კოლექტივს, რომლის დირექტორიც არის სოციალისტური შრომის გმირი ამბ. ელიანი, ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის № 70 ქარხნის კოლექტივს, კოლექტივებს იმ თვითმფრინავთმშენებელი ქარხნისას, რომლის დირექტორიც არის ამბ. ლუკინი, კუბნეცოვის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მებრძოლიერების კოლექტივს. სიხარულით აცხადებდნენ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისა და წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ კუიბიშევის ოლქის ქვების მრეწველობის მუშაკები, ყაზახეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, ლენინგრადის ინვალიდთა კოოპერაციის, რაზანის ოლქის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკები და ბევრი სხვანი.

დიდი კმაყოფილებით გაიგო გუშინ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, რომ მოსკოვის საწარმოთა მუშებისა და მუშა ქალების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების თავდადებული შრომის შედეგად ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. ქალაქების გორკის, ყაზანის, ვოლგოგრადის და სხვების მრეწველობამ აგრეთვე ვადამდე დამთავრა წლიური გეგმის შესრულება.

იმ დღეებში, რაც მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩენილა, სია საწარმოებისა, რომლებმაც წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს, უეჭველად გადიდდება. მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები ყველგან ცდილობენ ლონისძიებებს, რათა ღირსეულად დაამთავრონ 1943 წელი, რომელიც აღსავსეა საბჭოების ქვეყნის სასიცოცხლო სამხედრო, შრომითი და საერთაშორისო წარმატებებით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკების წინაშე დგას ამოცანა: წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე წლის ყველა სახელმწიფო გეგმის შესრულება. უნდა გვახსოვდეს და არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა მრეწველობა განირჩეოდა ყოველწლიური მნიშვნელოვანი ზრდით. ჩვენი მრეწველობის მსუბუქსაბები, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ოდენობა წლითიწლობით განუხრელად მატულობდა.

ქარხნებისა და ფაბრიკების, სამადნოებისა და შახტების მუშაკთა ღირსების, სამეა — ახალი, 1944 წელი დაიწყონ საწარმოო გეგმების ყოველდღიური შესრულებით და ვადამეტებით შესრულებით. ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ უნდა იყოს მიმართული სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება. მრეწველობის ყველა დარგთა შორის უნდა დამყარდეს ზუსტი ურთიერთკავშირი: დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველ რიგში სახალხო მეურნეობის მთავარ, ძირითად დარგებს, რომლებზედაც დაფუძნებულია მთელი სამეფო-ინდუსტრია, მთელი სამრეწველო წარმოება, — ქვანახშირის მრეწველობას, მეტალურგიას, ელექტროსადგურებსა და რკინიგზის ტრანსპორტს.

ჩვენი ქვეყანა ქვანახშირის მუშაკებისაგან მოელის ქვანახშირის მოპოვების ახალ აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას. შახტებში ყოველგვარი იმ უწესივრობის უაღრესად სწრაფად აღმოფხვრას, რომელიც აფერხებს ქვანახშირის მოპოვების შემდგომ გადიდებას.

დიდ მოთხოვნას უყენებენ რკინიგზელებს, რომლებიც მოწოდებული არიან თავის დროზე მიაწოდონ სამხედრო მოსამარაგებს, თავის დროზე მოუტანონ ნედლეული და მასალა სამრეწველო ცენტრებს. რკინიგზელთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ზამთრის პირობებით, როდესაც სათბობის, ნედლეულისა და მასალების მიწოდების თვით უმცირეს დაღვევას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგიერთი ქარხნისა და ფაბრიკის მუშაობაზე.

მზარდი სამხედ

ქართული ქსილოგრაფიის 80 წელი

დიდი და ბრწყინვალე წარსულის მქონე ქართულ ხელოვნებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შეემატა ერთი ახალი, მისთვის უჩვეულო დარგი — ქსილოგრაფია*). საქართველოში ამ ხელოვნების შემომტანი იყო გრიგოლ ტატიშვილი. მან თავისი პირველი კლიშე გააკეთა 1863 წელს. მას შემდეგ 80 წელიწადი გავიდა. ეს პირველი კლიშე უბრალო კალმის დანით იყო ნამუშევარი, უბრალო ფიცარზე და არა სპეციალური იარაღითა და სპეციალურ ხეზე, და წარმოადგენდა ცირკის ავიშას იმ წარმოდგენისათვის, სადაც ტატიშვილი თვითონ მონაწილეობდა. მართალია, ამ კლიშეს არა აქვს მხატვრული ღირებულება, მაგრამ ის მნიშვნელობა კი აქვს, რომ პირველი ქსილოგრაფიული ნაწარმოებია საქართველოში და ამით იწყება ხელოვნების ეს დარგი ჩვენში. ამას შემდეგ მოჰყვა ტატიშვილის სისტემატური მუშაობა ქსილოგრაფიის დარგში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწიგნობრობის განვითარებაში. ტატიშვილმა შეჰქმნა მრავალი ნამდვილი ქსილოგრაფიული, მხატვრული ნაწარმოები და ამით გაამდიდრა ქართული ხელოვნება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით ძლიერდება სახალხო-კულტურული მოძრაობა, რაც მოითხოვდა ბეჭდვითი საქმის განვითარებას, ახალი ლიტერატურის შექმნას, ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, ახალი თაობის ახალ პრინციპზე აღზრდას. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამომცემლობის ამხანაგობა, გაჩნდნენ კერძო გამომცემლებიც, მესტამბეები. დაიწყო ქართული სახელმძღვანელოების გამოცემა. მაგრამ ყველა ამ გამოცემისათვის, და მეტადრე გოგებაშვილის წიგნებისათვის, საჭირო იყო სურათების — კლიშეების გაკეთება. კლიშეები მაშინ კეთდებოდა ქსილოგრაფიული ხერხით და ისიც მხოლოდ პეტერბურგში. რასაკვირველია, მაშინდელი მიმოსვლის პირობებში ძნელი იყო შეკვეთების პეტერბურგში გაგზავნა. ეს დარგი უნდა შექმნილიყო ადგილობრივ, და იგი შეჰქმნა კიდეც გ. ტატიშვილმა. მას დიდი დახმარება გაუწია დ. ერისთავმა, რომელმაც პეტერბურგიდან ჩამოუტანა საჭირო ხელსაწყო.

წარსული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე ჩვენში შემოვიდოდა ცინკოგრაფია, არა ყოფილა არც ერთი დასურათებული გამოცემა, არა თუ ქართული, არამედ რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვ., რომელიც არა ყოფილიყო ტატიშვილის მიერ დასურათებული. ამ მხრივ დიდი შრომა აქვს გაწეული ტატიშვილს ი. გოგებაშვილის გამოცემათა დასურათებაში. „დედა-ენა", „ბუნების კარი", „იავნანამ რა ჰქნა" და სხვ. დასურათებულია გ. ტატიშვილის მიერ.

გ. ტატიშვილის მიერ დასურათებულია მაშინდელი საბავშვო ჟურნალები: „ნობათი", „ჯეჯილი", შემდეგ „ნაკადული" და მრავალი სხვა საბავშვო წიგნი. ტატიშვილი თვითონაც იყო საბავშვო წიგნების გამომცემელი. მან გამოსცა „სამი ცელქი", „ოქროს თევთავი", „ცვარი" — შ. მდივანელისა. „ზალვას თავგადასავალი" — ცაბელისა. ანდრესენის ზღაპრები და სხვ.

გ. ტატიშვილი მუშაობდა ქართული გრაფიკის დარგშიც. მან შეჰქმნა ქართული (და სომხური) ასოების ახალი ნახატები, შეიმუშავა კანონები საქართველოს ასოების ალბომები. ამათში განსაკუთრებით საინტერესოა „ჩართული ანბანი" — მთელი ქართული ანბანი წყვილ-წყვილად ერთმანეთში ჩახლართული ი. ანბანი ყველიერში — ქართულად და სომხურად. ტატიშვილი აკეთებდა ასოებს აფიშებისათვის. ეს კი დიდად საჭირო იყო, რადგანაც მაშინ უკვე გვქონდა მუდმივი თეატრი და ამ თეატრის აფიშებისათვის საჭირო იყო საგანგებოდ გაკეთებული ასოები.

*) ქსილოგრაფია ბერძნული სიტყვაა. ქსილოს — ხე და გრაფოს — ვწერ, ვხატავ, ე. ი. ხეზე სურათების ამოკვრა — კლიშეს გაკეთება სტამბური წესით.

ასის გარდა ტატიშვილმა შეადგინა მრავალნარი მთავრული ასო, რომლებიც ამშვენებდნენ მაშინდელ გამოცემებს.



გ. ტატიშვილი

გ. ტატიშვილს ეკუთვნის კიდევ ერთი დიდი შოთა — ქართული ჩუქურთმების შეგროვება, სისტემაში მოყვანა და დამუშავება. ამ ჩუქურთმების შესაგროვებლად გ. ტატიშვილმა შემოიარა მთელი საქართველო და ნიუშები გადმოიღო ძველი ქართული ეკლესია-მონასტრებიდან. ამ ჩუქურთმებთან ერთად „ეფების ტყაოსნის" პირველი ძვირფასი გამოცემა გ. ქართველიშვილისა, შემდეგ სხვა გამოცემებიც. ახლა კი ისინი ამშვენებენ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ა.-ჯ. რკინიგზის სამართველოს ახალ შენობას ს. ცეტკინის ქუჩაზე და სხვ. გ. ტატიშვილის ეს შრომა დაჯილდოებული იყო პარიზის გამოფენაზე ქების ფურცლით. საერთოდ კი, თავისი ნამუშევრებისათვის გ. ტატიშვილს კავკასიის ორივე გამოფენაზე (1889 წ. და 1901 წ.) მიეცა ვერცხლის ორი medaliа.

ასეთია გ. ტატიშვილის მოღვაწეობა მოკლედ.

საინტერესოა მისი ბიოგრაფია.

სიღარიბის გამო, გ. ტატიშვილი მშობლებმა სკოლაში ვერ მიაბარეს. 12 წლისა იგი შეგირდად მიაბარეს ერთ ვაჭარს თამამშევილი ქარვასლაში. მაგრამ ნიჭიერმა და მოუსვენარი ხასიათის მქონე ჰაბუკს ვაჭრობა არ აინტერესებდა. მან დაიწყო თავისი ნიჭის შესაფერისი გზების ძებნა. იმ დროს თამამშევილის ქარვასლის ეზოში იყო თეატრი. პატარა ბიჭი შევიდა ქარვასლის სავაჭროებიდან მოეწყო თეატრში, დაუახლოვდა არტისტებს, მუსიკოსებს, მხატვრებს. იმათაც შეიყვარეს მკვირცხლი და ნიჭიერი ახალგაზრდა. ამათგან ისწავლა სასულე საკრავზე დაკვრა და ერთ ხანად უკრავდა იმავე თეატრის ორკესტრში. ისწავლა დეკორატორობა და მუშაობდა დეკორატორად. შემდეგ მრავალი პროფესია გამოიცვალა, მაგრამ მას არ ასვენებდა ნიჭი მხატვრისა და ეს ნიჭი ბოლოს ჩამოყალიბდა ქსილოგრაფიაში.

როგორც ვთქვით, თავისი პირველი კლიშე — ცირკის აფიშა — მან გააკეთა კალმის ღანით. შემდეგ, ასევე კალმის დანით დასურათა „ყარამანიანი". მაგრამ მისი ნიჭი ძალად გაიფურჩქნა, როცა იშოვნა საჭირო იარაღი.

გ. ტატიშვილმა ბევრი გააკეთა კავკასიის ერებისათვის, მეტადრე სომხებისათვის*).

გ. ტატიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს, 2 აგვისტოს. მისი მოღვაწეობის სრული შეფასება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ი. ტატიშვილი

*) სომხურმა ჟურნალმა „თარაზმა", თავისი 25 წლის იუბილე რომ გადაიხადა, თავისი თანამშრომლების გალერიაში გ. ტატიშვილიც მოათავსა.

„სსრ კავშირის საუკეთესო სავაჭრო ბაზა"

„ოპტპრომტორგის" (სამრეწველო საქონლით საბითუმო ვაჭრობის) კანტორიამ აქართველოს რესპუბლიკური სავაჭრო ბაზა მიმდინარე წელს გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. განსაკუთრებით დიდ მიღწევები მოიპოვა ბაზის კოლექტივმა (სავაჭრო ბაზის დირექტორი ვ. ოსიპოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. შახვერდოვი) მიმდინარე წლის მესამე კვარტალში. მესამე კვარტალში ბაზამ მოაწყო საწარმოო საამქროები და, გარდა სავაჭრო ოპერაციებისა, შეუდგა ფართო მოხმარების საქონლის დიდი რაოდენობით გამოშვებას.

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, განიხილეს რა „ოპტპრომტორგის" სავაჭრო ბაზებს შორის გაშლილი სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1943 წლის მეკამეკვარტალისათვის, გამარჯვებულად სცნეს „ოპტპრომტორგის" საქართველოს რესპუბლიკური ბაზა, მისცეს მას საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა, ფულადი პრემია 17.000 მანეთის რაოდენობით და მიანიჭეს წოდება „სსრ კავშირის საუკეთესო სავაჭრო ბაზა".

23 დეკემბერს ცეკავშირის კლუბში გაიმართა თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების პუშაკთა სხდომა, მიძღვნილი „ოპტპრომტორგის" საქართველოს რესპუბლიკური სავაჭრო ბაზისათვის გარდამავალი დროშის გადაცემისადმი. საზეიმო სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საბაზის ბაზის დირექტორი ამხ. ვ. ოსიპოვი. დროშის გადაცემისას სიტყვები წარმოსთქვეს საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. შ. კუტუხიძემ, „ოპტპრომტორგის" საკავშირო კანტორის წარმომადგენელმა ამხ. კოვანკომ და საქ. სავაჭრო ბაზის მუშაკებმა— ამხ. ს. ტრაპეზნიკოვამ, ო. სინგეროვამ, მ. უულადეძე და სახვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ავეტისოვამ.

საქართველოს სავაჭრო ბაზის დირექტორს ამხ. ვ. ოსიპოვს და ბაზის საწარმოო კომბინატის სტახანოველს ამხ. ს. ტრაპეზნიკოვას გადასცეს სავაჭრო დროშის წარჩინებულთა ნიშნები.

დეპეშები

დანიშვნები მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს საღამოს ლონდონში გამოქვეყნდა „თავრობის შემდეგი ცნობა:

„მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით ცხადდება შემდეგი დანიშვნები, რომლებიც წარმოადგენენ შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგს: ინგლისისა და ამერიკის იქ საეჭვედიციო ჯარების უმაღლეს საკავშირო მთავარსარდლად, რომლებიც შეერთებულ სამეფოში ეწყობა ევროპის გასათავისუფლებლად, ინიშნება გენერალი ეიზენჰაუერი. უმაღლეს საკავშირო მთავარსარდლად ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე ინიშნება გენერალი ჰენრი მეიტლანდ ვილსონი. მოკავშირეთა არმიების მთავარსარდლად იტალიაში ინიშნება გენერალ ჰაროლდ ალექსანდერი. ინგლისის იმ საარმიო ჯგუფის მთავარსარდლად, რომელიც გენერალ ეიზენჰაუერის უმაღლეს სარდლობაში იმყოფება, ინიშნება გენერალი ბერნარ მონტგომერი. ამერიკის იმ სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის სარდლად, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მოქმედებს, ინიშნება გენერალი კარლ სპაატი. მთელი რიგი სხვა დანიშვნები სარდლობის შემადგენლობაში, რაც ზემოხსენებულად გამომდინარეობს, შემდეგში გამოქვეყნდება".

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ავიაცია 23 დეკემბერს ღამით თავს დაესხა ბერლინს.

ბერლინზე ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ბერლინზე ინგლისის ბომბდამშენთა დღევანდელი თავდასხმის დროს ჩამოყრილ იქნა ერთი ათას ტონაზე მეტი ბომბი. ქალაქში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ბერლინის დაახლოებით მილიონნახევარი მცხოვრები 4 მილიონიდან მოკავშირეთა საჰაერო თავდასხმების შედეგად უსახლკაროდ დარჩა. იმავე ცნობების თანახმად, ქალაქი დაბომბეულია 60 პროცენტით.

ავიაციის სამინისტროს ცნობით, ბერლინზე დიდ თავდასხმასთან ერთად 23 დეკემბერს ღამით სხვა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე ცენტრალურ და დასავლეთ გერმანიაში. თვითონ ჩაზეებში არ დაბრუნებულა 17 ბომბდამშენი.

ამერიკის ავიაციის დიდი თავდასხმა პა-დე-კალეს რაიონზე

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, 24 დეკემბერს ამერიკის 1.300-ზე მეტი თვითმფრინავი თავს დაესხა სპეციალურ სამხედრო ნაგებობებს პა-დე-კალეს რაიონში. ეს ამერიკის თვითმფრინავთა ყველაზე დიდი რაოდენობაა, რომელთაც ოდესმე მონაწილეობა მიუღიათ ერთ თავდასხმაში.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები ჩრდილოეთ საფრანგეთზე

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 22 დეკემბერს ღამით და გუშინ დღისით მოკავშირეთა ავიაციის დიდი შენაერთები თავს ესხმოდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთს. განსაკუთრებულა გაფთრებით დაიბომბა ბანაკი მერლიმონის ახლოს და რკინიგზის ორი კვანძი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ჯარებმა დაიკავეს სოფელი ვეკანი. ორტონასა და მის მიდამოებში ძლიერი ბრძოლები გრძელდება. ამერიკის მე-5 არმიის მთელ ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

დივერსიული აქტები დანიასა და ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 24 დეკემბერი (საკადესი). შვედური პრესა იუწყება, რომ ნოემბერში დანიაში 300 დივერსიული აქტი მოეწყო. 21 დეკემბერს ღალით კოპენჰაგენში აფეთქეს იმ ქარხნის ელექტროსადგური, რომელიც დიზელმოტორებს უშვებდა გერმანიის წყალქვეშა ნავებისათვის.

20 დეკემბერს დანიელმა პატრიოტებმა აფეთქება მოაწყეს კოპენჰაგენის ქარხანაში, რომელიც სწრაფმსროლელ ტყვიამფრქვევებსა და რეფლექორებს უშვებდა გერმანიის არმიისათვის. დანიაში სულ ორი ასეთი ქარხანა იყო. პირველი მთგანი ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ აფეთქეს.

სტოკჰოლმი, 24 დეკემბერი (საკადესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 19 დეკემბერს ოსლოში ნავსადგურში მდგარი გემიდან საომარ მასალათა გადმოტვირთვის დროს მთელი რიგი მეტად ძლიერი აფეთქება მოხდა, რაც 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ლონდონი, 24 დეკემბერი (საკადესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ოსლოში მომხდარ აფეთქებათა შედეგად დაგვრეულია სანავსადგურო ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი. დაიღუპა 20 გერმანელი მატროსი ან 26-დან, რომლებიც იმყოფებოდნენ საომარ მასალიან გემზე, სადაც აფეთქება მოხდა.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 24 დეკემბერი (საკადესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, საომარი მოქმედების ყველა სექტორში ინიციატივა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილთა ხელშია. ყველაზე გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს ლივნო-დუვნოს უბანზე. ოკუპანტების ჯარები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ დაიკავონ სარაევო-მოსტარის რკინიგზის ხაზი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადრიატიკის ზღვასთან კავშირისათვის.

ჩერნოგორიაში ერთმა დამკვრელმა ჯგუფმა დიდი ზარალი მიაყენა ოკუპანტებს და ხელთ იგდო 13 ნაღმსატყორცნი, 8 ტყვიამფრქვევი, 100 შაშხანა, 57 ათასი ვაზნა, 15 ათასი ხელგრანატი და სხვადასხვა სამხედრო ჭონება.

ერნის ჩრდილოეთით სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის გამაგრებული პუნქტი გოლუბიჩი.

იაპონიის სამხედრო ხარჯები

ტოკიო, 17 დეკემბერი (საკადესი). (მიღებულია დაგვიანებით). როგორც გაზეთი „ტოკიო სიმბუნი" იუწყება, იაპონიის ფინანსთა მინისტრმა კაიამ განაცხადა, რომ იაპონიის სამხედრო ხარჯები წელს 35 მილიარდ იენს აღწევს, რაც 2,5-ჯერ აღემატება 1941 წლის სამხედრო ხარჯებს.

გადიდებულ სამხედრო ხარჯებს თავი რომ გაართვას, განაცხადა კაიამ, ამისათვის მთავრობა გადასახადებსა და სესხთა გამოშვებას მიმართავს. დღეს ხალხს უხდება 7-8-ჯერ მეტი გადასახადის გადახდა, ვიდრე წინათ.

იაპონიის ბიუჯეტი შემდეგი წლისა, კაიას სიტყვით, 15.200 მილიონ იენს შეადგენს, რაც 6-ჯერ აღემატება მშვიდობიანი დროის წლიურ ბიუჯეტს.

უცხოეთის ქრონიკა

21-დან 23 თებერვლამდე ალეიერში შესდგება ინგლისელ, ამერიკელ და ფრანგ სამხედრო ექიმთა კონფერენცია, რომელნიც ერთობლივ გაუზიარებენ ჩრდილოეთ აფრიკაში სიცილიასა და იტალიაში საომარი მოქმედების დროს შეძენილ გამოცდილებას.

* * *

რკინიგზებზე მოწყობილი საბოტაჟისა და დივერსიის მრავალი აქტის და პაველიჩის არმიის კუთვნილი სამხედრო ქონებისა და საომარი მასალების ყველაზე დიდი საწყობის აფეთქების სამაგიეროდ ზაგრებში 416 კაცი დახვრიტეს.

* * *

ამერიკელთა თვითმფრინავებმა კარტბენიდან 30 მილზე ჩასძირეს გერმანელთა დიდი წყალქვეშა ნავი. ამ ნავის დეენა ორ კვირას გრძელდებოდა.

* * *

პარიზის რადიომ, რომელსაც ჰიტლერელები, უწევენ კონტროლს, გამოაქვეყნა ცხობა, რომ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში საფრანგეთში მოხდა ოთხი ათასზე მეტი დაპატიმრება.

* * *

ინგლისის საადმირალო საფრანგეთის ფლოტს აძლევს ოთხ ფრეგატს, რომელთა ეკიპაჟები კოომპლექტებული იქნება ფრანგი მეზღვაურებით. ოთხივე ფრეგატი საკუთრით მოწყობილია წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად (საკადესი).

ახალი წარმატებებით შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

მაუდელები ემზადებიან ახალ სასამართლო-დავალებათა შესასრულებლად

თბილისის მაუდ-კომბინატის ფაბრიკის მუშაკები და სპეციალისტები წარმატებით ასრულებენ იმ საწარმოო ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების პასუხად. ფაბრიკის სართავი საამქროს კოლექტივმა (საამქროს უფროსი ამხ. შ. ნოვიკი) დიდი ბელადის მოწოდების პასუხად იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 4,5 ტონა ჩამორთული ძაფის გამოშვება. საამქროს კოლექტივმა ეს ვალდებულება წარმატებით გაანაღდა.

მთლიანად ფაბრიკის კოლექტივმა, ბელადის მოხსენების სპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებები 22 დეკემბრისათვის შეასრულა.

ახლა ფაბრიკაში გაჩაღებულია დიდი მუშაობა. 1944 წლის საწარმოო დავალებების შესრულებისათვის მოსამზადებლად ამოქმედებულია ფაბრიკის საკარხნო კომისია, რომელსაც ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ს. იაკობაშვილი ხელმძღვანელობს. კომისიას დავალებული აქვს შეამოწმოს ფაბრიკის მანქანა-დანადგარები, გამოარკვიოს მათი დატვირთვით მუშაობის შესაძლებლობა, დაწვრილებით შეისწავლოს ყველა ის მიზეზი, რაც მანქანა-დანადგარების მუშაობას ხელს უშლიდა 1943 წელს და რომლებიც აფერხებდნენ საწარმოო დავალებათა შესრულებას, და დაამუშაონ ღონისძიებები მომავალში ასეთი დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად. კომისიის მიერ დამუშავებული ღონისძიებები განხილულ იქნება საწარმოო თათბირზე.

შ. ჯოჯუა

გეგმების შესრულება

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა 20 დეკემბრისათვის ვადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოიას ჩაბარების 1943 წლის გეგმა, როგორც სავალდებულო ჩაბარების, ისე მტს-ის ნატურანაზღაურების ხაზით. სულ ჩაბარებულია 5.578 ცენტნერი სოია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.528 ცენტნერისა. სოიას დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი კილასონია

* * *

ლიმანტრესტის კვირიკის საბჭოთა მეურნეობამ 19 დეკემბრისათვის ციტრუსების ნაყოფის კრეფის გეგმა 128,4 პროცენტით შეასრულა. მეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 203 ტონა მანდარინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ტონისა. ციტრუსების ნაყოფის კრეფა - დამზადება გრძელდება.

კვირიკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. იაშვილი

თეთრი წყაროს („კომუნისტის" საკ. კრებ.) რაიონმა მთლიანად შეასრულა თესვის გეგმა. 15.300 ჰექტარის ნაცვლად საშემოდგომო კულტურები დათესილია 15.303 ჰექტარზე. კოდის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 1.337 ჰექტარის ნაცვლად დასთესეს 1.435 ჰექტარი, მთაულეთის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა დასთესეს 770 ჰექტარი, ნაცვლად 720 ჰექტარისა.

ძველი მარაბდის ოძელაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. მონდორაშვილი) გეგმის გადამეტებით დასთესა 90 ჰექტარი, სოფ. კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. დალაქიშვილი) —41 ჰექტარი, ბოგვის კოლმეურნეობამ „შოთამ" (თავმჯდომარე გ. ახსიაშვილი)—13 ჰექტარი, ჩხიქეთის კიგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ბაიდარაშვილი) —10 ჰექტარი.

აკ. ჩავლეიშვილი

გათავისუფლებულ რაიონთა ბიბლიოთეკების აღსადგენად

ლიტერატურის სახელმწიფო ფონდის თბილისის ფილიალმა, რომელიც მოეწყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან, გათავისუფლებულ რაიონთა ბიბლიოთეკების აღსადგენად შეაგროვა 80.000 წიგნი დაკომპლექტებულია 26 ბიბლიოთეკა, მათ შორის ოთხი საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელთაგან თითოეულში შედის 5.000 ტომი და 22 რაიონული ბიბლიოთეკა, რომელთაგან თითოეულში არის 2.000 წიგნი. ოთხ ბიბლიოთეკა უკვე გაიგზავნა ჩრდილოეთ ოსეთში, სტავროპოლის მხარეში, ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკაში და ყრასნოდარის მხარეში.

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა შეუდგა 15 ბიბლიოთეკის დაკომპლექტებას კრასნოდარის მხარის პარტკაბინეტებისათვის.

რადიოფიქციკოსთა ახალი კადრები

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმში შესდგა მე-2 თანრიგის რადიოტექნიკოსთა მოსამზადებელი კურსების შესამე გამოშვება. კურსები დაამთავრა 24 სტუდენტმა, რომლებმაც სახელმწიფო საგამოცდო კომისიისაგან მაღალი შეფასება მიიღეს. კურსდამთავრებულთა 70-მდე პროცენტმა გამოცდა „ფრიადზე" და „კარგზე" ჩააბარა.

კურსდამთავრებულთა შორის, რომლებმაც გამოცდების დროს ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნეს, არიან ესპანელი ჰაბუკები ამხ. მანუელიანი სანტოსი, ლოპეს ბილბაო ესტერი, კაბესონ გონსალეს ანტონია ელენერი ედუარდო ეჩიბარია, მარინერო პედრო, გარსია მარიანო და სხვები.

კურსების ორგანიზაციის დაწყებიდან გამოშვებულია 100-მდე სტუდენტი (საკადესი).

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა სადგ. სოხუმის ბლატფორმის მოლარე ქსენია ცაავას და მებარგე ხანდიაშვილს. როგორც წერილის ავტორი გვატყობინებდა, აღნიშნული პირები მგზავრებს რკინიგზის ბილეთებში ზედმეტს ანდგენენ. ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. გ. კიკნაძეს.

როგორც ამხ. კიკნაძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დასტურდა. სადგ. სოხუმის ბლატფორმის მოლარე ქ. ცაავა და მებარგე ხანდიაშვილი მოსნილი არიან სამუშაოდან.

საახალწლო საჩუქრები ნითელი არმიის მებრძოლებს

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებში უკვე საახალწლო საჩუქრებს უმზადებენ წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს. სარაიონო კომისია შეუდგა საჩუქრების შეგროვებას. უკვე მიღებულია 100 წყვილი მატყლის წინდა, 150 წყვილი მატყლის ხელთათმანი. დიდი რაოდენობით ამზადებენ საჩუქრებს პარტყოფის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე გ. მთიაშვილი), სოფლანლუღის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ბ. რუტუა), ავჭალის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე თ. ვარდანიანცი) კოლმეურნეობებში. თითოეული კოლმეურნეობა ამზადებს დაახალწლოდ უგზავნის მებრძოლებს 50 ლიტრ ღვინოს, 10 ლიტრ არაყს, 100 კილოგრამ ხილს, აგრეთვე თაფლს, ნაზუქს და სხვა პროდუქტებს.

ი. ყველაიძე

ქიმიური მეცნიერებისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა შეხვედრა

კვირას, 26 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი აწყობს საქართველოს ქიმიური მეცნიერების მუშაკთა შეხვედრას ქიმიური მრეწველობის მუშაკებთან. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ვ. კაკაბაძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „საქართველოს ქიმიური მეცნიერების და ქიმიური მრეწველობის მდგომარეობა და ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში".

თეატრებში

25 დეკემბერს: **სახოპერა**—„რაჰილ". **რუსთაველი** — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის** — „კოლმეურნის ქორწინება". **გრიბოედოვის** — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". **სომხური**—„აღმოსავლეთის დინტისტი". **ახუნდოვის** — „ასი და ერთში" **მუსკომედიის** — ერთმოქმედებიანი პიესების საღამო.

კინოებში

25 დეკემბერს: **რუსთაველი** — „მელოდია". **ოქტომბერი** — „გიორგი საკაძე", მე-2 სერია. **დამკვრელი** — „3 მუშკეტერი". **კომკავშირელი** — „ორი მებრძოლი". **ლუქსემბურგის სახ.** — „შვეიკის ახალი თავგადასავალი". **26 კომ. სახ.** — „ორი მეომარი". **სპარტაკი** — „შვეიკის ახალი თავგადასავალი".

თბილისის ლ. პ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ღებულობს მოსწავლეებს 14-დან 16 წლამდე (ჩათვლით), რომელთაც დამთავრებული აქვთ 4 კლასი. სწავლის ვადა 6 თვე.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლა ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მუშებს. სკოლის დამთავრების შემდეგ მოწაფეები ჩაირიცხებიან ფაბრიკაში თავის სპეციალობის მიხედვით. სწავლის დროს მოწაფეები სკოლის ხარჯზე მიიღებენ საუზმეს, სადილს და ვახშამს. მოსწავლენი დაკმაყოფილებული იქნებიან ტანსაცმლით და ფეხსაცმლით. ისარგებლებენ უფასო ამბარით, ფეხსაცმლის უფასო შეკეთებით, აგრეთვე საპარიკმახეროთი. ვინც შორს ცხოვრობს, მიეცემათ ტრამვაის უფასო ბილეთები. რაიონებიდან ჩამოსულებს, მიეცემათ ბინა საერთო საცხოვრებელში. საქ.-საფ. სკოლის მოწაფეები მუშებთან ერთად მიემაგრებიან ფაბრიკასთან არსებულ მუშათა მომარაგების განყოფილებას.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მიღებისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მეტრიკული ამონაწერი, ცნობა განთლების შესახებ, ცნობა — თუ ვის კმაყოფაზეა, ორი ფოტოსურათი.

განცხადებათა მიღება სწარმოებს ფაბრიკასთან არსებულ კადრების განყოფილებაში დილის 9-დან საღ. 5 საათამდე. მისამართი: ნავთლუღი, ყარაიის ქ., ტრამვაი № 7 და 9, ტელ. 3 — 50 — 02, 3 — 42 — 86.

დირექცია

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ჭუთაისის განყოფილება მწუხარებით იუწყება მხცოვანი მწერლისა და ჟურნალისტის **დავით სიმონის-ძე მესხის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. რიონში, კვირას, 26/XII.

1784

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრა იუწყება მასწავლებელ **როზა შომახიას** დის **კლარა, რომანის-ასულ შომახიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/XII, 3 ს. წულუკიძის, 3.

23-ე პოლიკლინიკა იუწყება **ალექსი აჯამოვის** დედის **ნინო ელიაზარის-ასულ აჯამოვის** გარდაცვალებას. გამოსვ. 26/XII, 3 ს. ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლი, 1.

1787

ლელე, ნუნუ და პელაგია ჩიბალაშვილები იუწყებიან **ნადეჟდა სიმონის-ასულ ჩიბალაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. კამოს 11. დაკრძ. 26/XII, კუკიის სასაფლაოზე.

1788

ივანე ელიშუნის-ძე თიკანაძის გარდაცვალებას.

1784

ოვანე ელიშუნის-ძე — „ორი მებრძოლი". **ლუქსემბურგის სახ.** — „შვეიკის ახალი თავგადასავალი". **26 კომ. სახ.** — „ორი მეომარი". **სპარტაკი** — „შვეიკის ახალი თავგადასავალი".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პას